www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები

2024

23.05.2025
www.geostat.ge

23.05.2025

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2024 წელი

შემოსავლები

2024 წელს საქართველოში საშუალო თვიური შემოსავლები (ფულადი და არაფულადი სახსრები) ერთ შინამეურნეობაზე, წინა წელთან შედარებით, 10.1 პროცენტით გაიზარდა და 1 896 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე 13.2 პროცენტით გაიზარდა და 590 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2014-2024 წლებში.

დიაგრამა №1

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები
ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე
(ლარი)



23.05.2025

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, 2.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 90.4 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 94.9 პროცენტს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 81.7 პროცენტს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2021-2024 წლებში.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება
(%)



ქალაქის ტიპის დასახლებებში საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე 12.6 პროცენტით გაიზარდა და 1 978 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 5.5 პროცენტით გაიზარდა და 1 755 ლარს გაუტოლდა.

ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს უჭირავს, რომლის წილი წინა

წელთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 47.6 პროცენტი შეადგინა. თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.7 პროცენტს გაუტოლდა. პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და სოციალური დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 22.3 პროცენტი შეადგინა. ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურა განსხვავდება ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების განაწილება კატეგორიების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №3

ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების განაწილება
(%)



ხარჯები

2024 წელს საქართველოში საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნერნეობაზე, წინა წელთან შედარებით, 5.2 პროცენტით გაიზარდა და 1 736 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე 8.2 პროცენტით გაიზარდა და 540 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2014-2024 წლებში.

დიაგრამა №4

საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე
(ლარი)



23.05.2025

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წელს, წინა წელთან შედარებით შინამეურნეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 69.9 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2021-2024 წლებში.

დიაგრამა №5

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება
(%)



ქალაქის ტიპის დასახლებებში საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე 6.3 პროცენტით გაიზარდა და 1 813 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 3.4 პროცენტით გაიზარდა და 1 603 ლარს გაუტოლდა.

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე გაწეულ ხარჯებს უჭირავს, რომლის წილი წინა წელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 38.1 პროცენტი შეადგინა. სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურა განსხვავდება ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში.

23.05.2025

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამომხმარებლო ფულადი ხარჯების განაწილება კატეგორიების და დასახლების ტიპის მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №6

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების განაწილება
(%)



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge